პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 190 (10 109)
3 ოქტომბერი,
სამშაბათი,
1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • ფასი 8 კაპ.

საქართველოს ახალგაზრდობას!

ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო, ერის იმედო და მომავალო! ახალი სასწავლო წელი იწყება რესპუბლიკის სასწავლებლებში, კვლავ გაცოცხლდება საკლასო ოთახები და აუდიტორიები, ასიათასობით ბავშვი, ქალიშვილი და ჭაბუკი მიუჯდება მერხს, რათა დაეუფლოს ცოდნას, ნელ-ნელა და ბეჯითად შეიმზადოს თავი, მომავალს გამოადგეს.

ცოდნა იარაღია, უძლეველი იარაღი, თანაც ისეთი, რომელიც კი არ ანგრევს და სპობს, არამედ აშენებს და ქმნის, ის ამაღლებს ყველას — მასწავლებელსაც და შეგირდსაც, მთელ საზოგადოებას, საშშობლოს.

ჩვენ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ხანაში ვცხოვრობთ. ესაა გარდაქმნის, იმედის ხანა. ინგრევა ძველი, დროშოკშეული სტერეოტიპები, თანდათან ძალავრობს დემოკრატიის, ჰუმანიზმის, ეროვნული და ზოგადკაცობრიული იდეალები.

საზოგადოების არცერთ ფენას არ ხელეწიფება ისე გაბედულად ამ გზით სიარული, როგორც წარსულის ტვირთისაგან თავისუფალ, გაბედულ და მართალ ახალგაზრდობას, იმას, ვინც პირველად გადაშლის დედა ენას, ვინც ბავლ და ზეგ ჩამოყალიბებულ სპეციალისტად, ინჟინრად და ექიმად, მასწავლებლად, მეცნიერად, მუშად, გუნდისდედად უნდა მოგვევლინოს. რესპუბლიკის მომავალს, მის სიძლიერეს ყველა მთვანან თავდადებული მაღალკვალიფიციური, ეროვნული თავმოყვარეობით განმსჭვალული შრომა სჭირდება.

სწორედ ამისთვისაა აუცილებელი დაუღალავი სწავლა, მეცნიერების საფუძვლების დაუფლება, მის საიდუმლოებებში ჩაღრმავება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენს სტუდენტობას, რომელთა ლაშქარს წელს განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა შეემატა — კვლავაც და უფრო მეტად იყავით მოწოდების სიმაღლეზე. საშშობლოსათვის, სიკეთის საამსახურისათვის თქვენი მზაობა, თქვენი უშრეტი ენერგია და სამაგალითო თავდადება მაღალი აზრით, ცოდნით უნდა იყოს გაცისკროვნებული, უპირველესად სწორედ ცოდნის ლამპარი უნდა გვინათებდეს არც თუ იავარდაპით მოფენილ წინსავალ გზას.

ეროვნული თავმოყვარეობა უკიდეგანო, აუწონავი ცნებაა, ის უშუალოდ უკავშირდება ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობასაც. და რაოდენ საჭიროა დღეს, თუკი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთან მხარდამხარ სიარული გვსურს, მაღალ კულტურასთან, ზნეობასთან, სულიერი განვითარების სფეროში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ეროვნული ზრუნვის საგნად იქცეს ჩვენი ხელით შექმნილი დაზგა და მანქანა, ჩვენი ზვრები და მინდვრები, ჩვენგან მოსავლელი ყოველი გოჯი შშობლიური მიწისა. ამასაც ცოდნა, უპირველესად სწავლა და გარჯა სჭირდება. ამ იმედით შევეკურებთ ჩვენს მომავალ თაობას, მით უმეტეს, რომ სწავლამოწყურებული ახალგაზრდებისათვის თანდათან სულ უფრო ფართოდ იღება უცხოეთის საუკეთესო სასწავლებელთა კარიც.

განსაკუთრებით უნდა მივმართოთ ჩვენს პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს — ერმა თქვენ ახალგაზრდობის სული და გონება, ქვეყნის მომავალი ჩაგაბარათ. თვალისჩინივით გაუფრთხილდით მას, გაითავისეთ მათი სატკივარი, აზიარეთ ცოდნას, მაღალი მოქალაქეობის, ზნეობის საგანძურს, კვლავაც ედექით ბურჯად ერის წინსვლას, მის პატარა მოქალაქეებს უჩვენეთ ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითი.

უნდა გავუფრთხილდეთ თაობათა კავშირსაც. უფრო ორგანული, ბუნებრივი, საქმიანი უნდა გავხადოთ ის, ჩვენ ყველანი ჩვენი წინაპრებიდან, ჩვენი მამა-პაპიდან მოვდივართ, მათ ნათელ საქმეებზე, წარმატებებზე და შეცდომებზე ვიზრდებით. ნებისმიერ ოჯახს შვილები, ახალგაზრდობა აკავშირებს, ადუღაბებს, სწორედ ახალგაზრდობამ უნდა შეკრას და გაამთლიანოს მისი ყველა ძარღვი. თუკი სადმე ბზარი გაჩენილა. ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელსაც ახლა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა განიხილავს, ჩვენი კონსოლიდაციის წინაპირობაა. ეს არ გამორიცხავს კამათს, დისკუსიას, ჭეშმარიტების მოძიებისა ძიებას.

დიდი იმედი გვაქვს ახალგაზრდობისა იმაშიც, რომ ის თავის მოქალაქეობრივ, მართალ სიტყვას იტყვის რესპუბლიკის რიგ რეგიონებში ხელოვნურად წარმოქმნილი სიძნელეების, გაუგებრობების მოსაგვარებლად. ჩვენი ზნეობით, აზრით და საქმით ძალგვიძს კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ, რომ ჩვენმა ხალხმა იცოდა, იცის და მომავალშიც ეცოდინება მტერ-მოყვარის გარჩევა, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, სიკეთის, მოყვასის სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის ფასი. ეს ხომ ჩვენი ცხოვრების წესია.

გულწრფელად გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, ცოდნით სავსე, მაღალინტელექტუალური, ამაღლებული საქართველოს შენებისაკენ შემობრუნების წელი ყოფილიყოს ის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ქამი სწავლისა, ცოდნის გაღრმავებისა

გამოცოცხლდა და აკრავლდა 2 ოქტომბერს თბილისის, საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩები. თავად ქალაქებიც თითქოს გაახალგაზრდავდნენ. რესპუბლიკაში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა, სკოლებმა და პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა, საბავშვო ბაღებმა მიიღეს თავიანთი აღსაზრდელები. დადგა სწავლის, ცოდნის გაღრმავების ქამი.

1200 მოსწავლისათვის გათვალისწინებულმა ახალმა სკოლამ ფართოდ გაუღო კარი საქართველოს დედაქალაქის უბნის — დიდი დიღმის ახალმოსახლეებს. ბავშვებმა საჩუქრად მიიღეს მყუდრო კლასები, კაბინეტები, ვრცელი სპორტული დარბაზი, აუზი.

— ახლა, — თქვა გიორგი ზენაიშვილმა, № 187 სკოლის დირექტორმა, — ჩვენთან ისწავლის მოსწავლეთა გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ ნახევარი. რაიონი ხომ ახალგაზრდაა. იგი ჯერ კიდევ შენდება. აი ჩვენი სკოლაც პერსპექტივისთვის არის აშენებული.

ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს, რომ სკოლა სანახევროდ იმუშავებს. მას მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის პროფილი. პედაგოგთა კოლექტივი თითქმის მთლიანად ახალგაზრდაა.

თბილისის 129 საბავშვო ბაღთა თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს განახლებული ხვდება. დღეს მისთვ სამართლიანად ამაყობენ მშობლებიც და პედაგოგებიც. პატარებმა კი ხალისით გადაამოწმეს ახალი ოთხსართულიანი შენობის ზღურბლს.

სახლს, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინათ ვიწროდ გრძნობდნენ ბავშვები თავს, ახლა ეკარ იცნობთ. შენობის ორიგინალური პროექტი, უზარმაზარი ნათელი ჰოლი, ვრცელი ოთახები საკუთარი ვერანდებით ექვსიდან [თითოეული ჯგუფისათვის, შენობა მუსიკის გაკვეთილებისათვის, ფიზკულტურისათვის — ასეთია ამ აღმზრდელობითი დაწესებულებების ღირსებათა არასრული ნუსხა. მის დირექტორს ელენე ქარაწანაშვილს კი ახალი თავსატეხი გასჩენია: უნდა კეთილმოაწყონ ეზო, ააშენონ აუზი პატარებისათვის, ფიზიკური აღზრდა, როგორც აქ სწორად მიაჩნიათ, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რომ ბავშვი დაეუფლოს პირველ ჩვევებსა და ცოდნას.

ახალი სკოლა და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულება დაათვალიერეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. დ. მახარაშვილმა.

(საქინფორმი).







ეს ფოტოები გუშინ გადავიღეთ დიდ დიღომში თბილისის 187-ე საშუალო სკოლაში.

ციტატა

ПРАВДА

ახლახან ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტის წერილი ფოთის სპორტულ ცხოვრებაზე, იმ ენთუზიასტებზე, რომელთა საქმიანობა ახალ-ახალ შტრიხებს მატებს ქალაქის სპორტულ პროფილს. ამ მასალაში ლაპარაკი იყო საწყლისნო კომპლექს „აიაზეც“, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს საერთო გარჯის სანიმუშო ნაყოფად.

„პრავდის“ 1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „სეზონის ფინიშთან“, რომელიც საბჭოთა წყალმოთხილამურეების წლევანდელი გამოსვლების ერთგვარი შეჯამებაა, ამავე საკითხს ეხება წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის მდივანი ტ. კონსტანტინოვა. აი, რას წერს იგი:

„უნდა აღინიშნოს ის დიდი ინტერესი, რომელსაც წყალსათხილამურო სპორტისადმი იჩენენ პატარა ქალაქ ფოთში (საქართველოს სსრ).

სეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენცია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, რომ დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარ დება 1989 წლის 6 ოქტომბერს, თბილისის ჭადრაკის სახახლეში, დღის 11 საათზე. რეგისტრაცია 9 საათიდან.

ადგილობრივი წყალსათხილამურო ბაზის „აიას“ (ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი ბაზა, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში), მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქალაქო და რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო ორგანოები, საქართველოს სპორტსაბჭომი. მართალია, ფოთის ბაზა ჯერჯერობით არც ისე დიდია, მაგრამ აქ ვარჯიშობენ საკავშირო ნაკრებისა და ლამის მთელი ქვეყნის წყალსათხილამურო კოლექტივთა სპორტსმენები. საფიქრებელია, რომ სწორედ ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა გულღიაობა, საქმიანი თვისებები და დაინტერესება, აგრეთვე კარგი კლიმატური პირობები გაბლდათ ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ფოთის ბაზის არჩევა ქვრიპის 1991 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ“.

4 და 5 ოქტომბერს

ბავშვთა კალათბურთის სასახლეში

ამ ორ დღეს აქ გაიმართება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 57-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. თბილისის დინამოელები მოსკოველ თანაკლუბელებს უმასპინძლებენ.

ადრე სპორტის სასახლეში დაგეგმილი ამ შეხვედრების კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გადატანის შესახებ რადაქციას „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოდან აცნობეს.



ჩვენებურები დედამიწის გარშემო

საშუალედო ფინიშთან — მეექვსე

ჰონტევიდეო. შაბათს, გვიან საღამოთი, ურუგვაის საკურორტო ქალაქ პუნტა-დელ-ესტეს ყურეში შევიდა საბჭოთა იალქნიანი ხომალდი „ფაზისი“, რომელიც მონაწილეობს დედამიწის ირგვლივ რბოლაში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ქვეყნის ნავი ასეთ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში გამოდის. „ფაზისი“ ამ საშუალედო ფინიშზე ჯერჯერობით მეექვსე იყო, რაც დებიუტანტისთვის ურიგო შედეგს არ უნდა წარმოადგენდეს.

პუნტა-დელ-ესტეში ნავების მოსვლის მიახლოვებითი გრაფიკი სეზონზულად დაარღვია ატლანტიკის ოკეანეში მძვინვარე ქარმა. პირველი, დანიშნულების ადგილზე, ახალი ზელანდიის ნავი „სტეინლაგერი“ მივიდა. მას მიჰყვა შეიცარიის „მერიტი“ და ახალი ზელანდიის მეორე ხომალდი „პაიკელი“

ბოლოკოლმი. ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა. გადამწყვეტი შეხვედრა ჰოლანდიის გუნდთან მან მშრალი ანგარიშით (0:3) წააგო. ჩემპიონის ტიტულს კი იტალიის ნაკრები დაეუფლა, რომელმაც ფინალში ტურნირის მასპინძლებს აჯობა — 3:1.

რომი. პროფესიონალ ველოსიპედისტთა პრესტიჟული რბოლა „ტურ ემილია“ მოიგო საბჭოთა ველოსიპედისტმა დიმიტრი კონიშევმა, რომელიც „ალფა ლიუმის“ ღირსებას იცავს. მეორე ადგილი იტალიელმა მაურიციო ფონდრიესტამ დაიკავა, მესამე — მისმა თანამემამულემ მაურო ჯანეტიმ

სარაევო. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მხატვრულ ტანვარჯიშში 17 წლის კიეველმა ალექსანდრა ტიმოშენკომ მოიპოვა — 39,75 ქულა.

ბურნირის ექო

პროტესტი

„ლელო“ უკვე იუწყებოდა თბილისის „მერანის“ კეტბურთელთა გუნდის წარმატებაზე, რომელმაც უფლება მოიპოვა გაისად ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზოს. ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით ტექნიკურ შედეგებზე და დაწვრილებით მოგითხრობთ იმ დაძაბულ და ნერვიულ ატმოსფეროზე, რომელიც ტურნირზე სუფევდა.

რედაქციის დავალება ნათელი იყო: დავსწრებოდი შეჯიბრებას და გავრკვეულიყავი კონფლიქტში, რომელიც შექმნა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის (მსი) გუნდის არაკეთილსინდისიერმა საქციელმა, მაგრამ სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეთ, ალბათ, ღირს რამდენიმე სიტყვა ვთქვათ თვით ტურნირზე ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, საკონკურსო თამაშებზე.

წლეულს პირველად გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი კეტბურთში. მას წინ ახლდა შესარჩევი შეჯიბრებები. პირველ ეტაპზე ასპარეზობდა 24 გუნდი, რომლებიც ოთხ ქვეჯგუფად დაიყვნენ. აქედან სამ-სამი გუნდი აგრძელებდა დავას მედლებისათვის მებრძოლ რვა საუკეთესოს შორის მოხვედრისათვის. დარჩენილი 4 კოლექტივი იბრძოდა ორი საგზურისათვის, ხოლო კიდევ ორ საგზურს ერთმანეთს ეცილებოდნენ გუნდები, რომლებიც გამოდიოდნენ შესარჩევი ტურნირის პირველ ეტაპზე. შემდგომში მათ დაემატათ კიდევ რამდენიმე კოლექტივი, ასე რომ, უმაღლესი ლიგის ორი საგზურისათვის საბრძოლველად თავი მოიყარა 16 გუნდმა. აქედან 8 კლუბი თბილისში გამოდიოდა, დანარჩენი 7 კი — ილიჩოვსკში (აქ არ ჩამოვიდნენ მხოლოდ გორკელი კეტბურთელები).

ახლა კი კონფლიქტის შესახებ, რომელიც თვით შეჯიბრების მსვლელობისას მოხდა. მისი არსი შემდეგშია: როგორც ჩანს, მსი-ს მწვრთნელმა ვ. ვარინსკიმ მიიჩნია, რომ მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამოდგება და... თავისი გუნდის შემადგენლობაში ჩართო სხვა კლუბის რამდენიმე მოთამაშე. ამან გამოიწვია შეჯიბრების მონაწილეთა, მწვრთნელებისა და დელეგაციების ხელმძღვანელთა კანონიერი უკმაყოფილება, თავიანთი პოზიცია მათ არაორაზროვნად ჩამოაყალიბეს პროტესტში, რომელიც გაეგზავნათ სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტულ თამაშობათა სამმართველოს უფროსს და ასპარეზობის მთავარ მსაჯთა კოლეგიას. რათა შენარჩუნებული იქნეს სრული ობიექტურობა, ჩავიხედოთ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ მწვრთნელები — ვ. რომანოვი (კრასნოიარსკის „სიბირიაკი“), გ. პაიჭაძე (თბილისის „მერანი“), ი. სამჩუკი (ბრატსკის „მეტალურგი“) და შ. აჯაროვი (ბაქოს „არასი“). დებულების თანახმად, საკონკურსო გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობენ ის კოლექტივები, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში IV-VI ადგილებზე გავიდნენ გათამაშების პირველ ეტაპზე. I და II ჯგუფში გამარჯვებულ გუნდებს უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის 1990 წლის ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა). სპორტსმენები, რომლებიც სეზონის განმავლობაში ერთ გუნდში გამოდიან, სხვა გუნდის ღირსებას ვერ დაიცავენ. ამ დებულების დარღვევით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტული კლუბის გუნდმა მოიწვია მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდის ოთხი წევრი, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ბაუმანელთა გუნდში გამოდიოდნენ. ვარინსკი კი ამტკიცებს, რომ ბაუმანის სასწავლებლის გუნდი დაიშალა და მის ნაცვლად თბილისში გამოდის მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდი. ამიტომ მას, ვითომდა, უფლება მისცეს თავისი გუნდი გაეძლიერებინა ბაუმანელთა კოლექტივის რამდენიმე წევრით... აქ ისმის კანონიერი კითხვა: ვინ დართო ნება? მოსკოველთა მწვრთნელი ადასტურებდა, რომ ეს მოხდა კეტბურთის საკავშირო ფედერაციის სხდომაზე, რომელსაც გადაწყვეტილებაც მიუღია ამის თაობაზე. მაგრამ, მოგვიტევეთ, მაშ სადაა წერილობითი დასტური, სადაა დებულებაში შეტანილი ცვლილებები? ყოველივე ეს არ ჩანს, ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ესოდენ დიდ უპირატესობას ანიჭებდა ერთ გუნდს, მიღებულ იქნა, ასე ვთქვათ, მეგობრულ წრეში! რით დაიმსახურეს მოსკოველებმა ასეთი პრივილეგია? ადამიანებმა, რომლებიც ახლო დგანან კეტბურთთან, იციან თუ რაოდენ დიდი როლი ეკისრება გუნდში მტყორცნელს. სწორედ ამ ამპლუის ერთბაშად ორი მოთამაშე აიყვანეს საავიაციო ინსტიტუტის გუნდში.

როგორი რეაქცია მოჰყვა საკავშირო სპორტსახკომის სპორტულ თამაშობათა სამმართველოდან ამ პროტესტს? არავითარი!

ახლა კი მოვუსმინოთ ილიჩოვსკის ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს.

ვ. რომანოვი (კრასნოიარსკის „სიბირიაკი“): სპორტში ბარე ოცდაათი წელიწადი ვმუშაობ, მაგრამ, მერწმუნეთ, ამგვარ ამბავს არ მოვსწრებივარ. გაუგებარია, რატომ უნდა მიენიჭოს ერთ გუნდს უპირატესობა? უმაღლეს ლიგაში გასვლის ბედი უნდა წყდებოდეს პატიოსან სპორტულ ბრძოლაში, კეტბურთის მოედანზე და არა კულისებსმიღმა მანიპულაციებით.

შ. აჯაროვი (ბაქოს „არასი“): კეტბურთში გამარჯვების ნახევარი მტყორცნელის წილად მოდის. საავიაციო ინსტიტუტის გუნდში ასეთი ორი იყო და კიდევ ორი მიუმატეს. ამით გუნდის პოტენციალი მკვეთრად ამაღლდა. ვიცი, რომ სხვა გუნდებსაც ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ ისინი არ წავიდნენ ასეთი გზით.

გ. პაიჭაძე (თბილისის „მერანი“): არაკეთილსინდისიერი ვაიმოღვაწენი ამგვარი ხერხებით დიდ მორალურ ზიანს აყენებენ სპორტს. ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია ამ ტურნირზე — თითოეული მოთამაშე თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისაა. მათ ამას წინათ საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე დიდი მორალური ტრავმა მიიღეს — მსჯავსის წყალობით წაიგეს გადამწყვეტი მატჩი და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ. ასეთი რამ, ცხადია, არ დაგავიწყდება კაცს და აი, კვლავ ახალი ხრიკები...

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა მსაჯობაზე. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნული იყო... მოსკოვის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი. გარდა ამისა, ოთხი არბიტრი ილიჩოვსკის ტურნირზე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელია. აბა, რა ობიექტურობაზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი?!

ამბობენ, ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდებაო. ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და უფლება მოიპოვა გაისად პირველად იასპარეზოს უმაღლეს ლიგაში. სპეციალისტების საერთო აზრით, იგი ჭეშმარიტად უძლიერესი იყო ტურნირზე და ვერავითარმა „წყალქვეშა დინებამ“ ვერ შეუშალა მას ხელი.

დავით დავითაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.
ილიჩოვსკი.

ეროვნული

ერთი სიცოცხლე რას ეყოფა...

ყველას ხომ ერთი გადია გვყავდა...

როცა შემთხვევით შეხვედრილმა უცნობმა ადამიანებმა არ იციან რაზე ისაუბრონ, ხშირ შემთხვევაში ამინდზე ჩამოაგდებენ სიტყვას. ამინდზე და... რა თქმა უნდა, სპორტზე — უმრავლესობისთვის ახლობელ და საინტერესო თემაზე. სპორტი კი, მოგეხსენებათ, ამინდივით ბანალური სახაუბრო თემა არ გახლავთ — მასზე ყველას თავისი აზრი აქვს, ყველა თავისას ამტკიცებს და ამიტომაა, მშვიდი საუბარი ზოგჯერ ცხარე კამათით რომ იცვლება. მაგრამ არის შემთხვევა, როცა სპორტზე მოსაუბრე ადამიანი „ცვილივით დნება“ და ხმაში ნაღველგარეული ალაპარაკდება — ეს მაშინ, სპორტთან წილნაყარ სიჭაბუკეს რომ გაიხსენებს.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის მკვლევარმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორმა და ჰუმანიტარული განათლების კათედრის გამგემ, პროფესორმა დავით გეგეშიძემ ჩვენ კორესპონდენტთან საუბარი სწორედ გახსენებით დაიწყო, მერე კი, ცხადია, სხვა საინტერესო საკითხებსაც შეეხო.

— **ჩემი** პირველი გატაცება კალათბურთი გახლდათ. სტუდენტობის წლებში უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი. ახლა ეს იქნებ დასაკვეხნიც არ იყოს, მაგრამ ჩემი თაობის ხალხი დამემოწმება — 50-იან წლებში ეს საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებად ითვლებოდა — უნივერსიტეტის ვაჟთა ნაკრებმა ხომ თბილისის „დინამოს“ ბევრი კარგი კალათბურთელი აღუზარდა. მაშინ უმაღლესი სასწავლებლების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების პირველობა სტუდენტი, და არა მარტო სტუდენტი, ახალგაზრდობისთვის ნამდვილი სპორტული ზეიმი იყო. გული მტკივა, რომ ეს ტრადიცია თანდათან იკარგება, თუმცა, ტრადიციის დაკარგვას ვინღა ჩივის, ყველაზე საწყენი ის არის, საქართველოში კალათბურთის კულტი რომ აღარ არსებობს. მესმის, ლევან მოსეშვილი იძულებული იყო, თბილისის „დინამოში“ სხვა რესპუბლიკებიდან მოეწვია მოთამაშეები, მაგრამ მწარე სიმართლეს სად წაუხვალ — ეს უკვე ქართული „დინამო“ აღარ იყო. ჩვენი კალათბურთის სხვებივით გულატკივებულმა და ერთგულმა მოყვარულმა ამაზე მეტი რა უნდა ვთქვა — მდგომარეობის გამოსწორებაზე მსჯელობა სპეციალისტების საქმეა — მე კი ისღა დამრჩენია და, გამოგიტყდებით, ერთი სული მაქვს ვილაპარაკო ტურიზმზე, რადგან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კალათბურთი სწორედ ამ სახეობაზე გავცვალე. გავცვალე იმიტომ, რომ მტკიცედ მჯერა — თუ რამ ხელს არ უშლის, ცოცხალმა კაცმა ფიზკულტურასთან და სპორტთან კავშირი არ უნდა გაწყვიტოს. სხვათა შორის, არც ეს არჩევანი იყო შემთხვევითი და აქ ისევ ჩემი ხნისებს დავიმოწმებ — ბატონმა ნიკო კეცხოველმა უნივერსიტეტელთა არაერთი თაობა, რომ იტყვიან, დაასნეულა საქართველოს ფეხით მოვლის ყინით. შეიძლება ვინმემ იკითხოს: ამ საქმეს 5-10 წელიწადში მოვითავებ, მერე რა ვაკეთოო? არა, მეგობრებო, გარწმუნებთ, ცდებით! საქართველოს მთაბარის, მისი ეკლესია-მონასტრების, მისი ყველა კუთხე-კუნჭულის ფეხით მოვლას ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ეყოფა. რა ხანია, მივდევ ამ სახეობას, თუ კი სიყვარულით ატაცებას სახეობა შეიძლება ეწოდოს, და, რომ იცოდეთ, რა შორსა ვარ მიზნამდე. ერთი რამ კიდევ: მე ცოტა „სხვანაირი“ ტურიზმის მომხრე და ტრფიალი გახლავართ და აი, რას ვგულისხმობ ამ „სხვანაირში“: ზოგს ჰგონია, ტურიზმი აუცილებლად ბრავალწევრიანი ჯგუფის ლაშქრობაა. მე კი ვთვლი, რომ ნამდვილი ტურიზმი ორი-სამი თანამოაზრის ბუნებასთან კავშირია. ჩემი თანატოლებისგან გურამ რჩეულიშვილისა და გურამ თიკანაძისგან მსმენია, ბუნება ადამიანს მხოლოდ მაშინ ესაუბრება, როცა ის მარტო რჩება მასთანო. რა დამავიწყეს, მხოლოდ ერთხელ შევძელი „ავკიდებოდი“ გურამ რჩეულიშვილს იმ უფლისციხისკენ, რომელსაც მან დიდებული ძეგლი აუგო.

ერთი სიტყვით, ფეხით მაქვს ძოვლილი საქართველოს მრავალი კუთხე და სწორედ ამას ვთვლი ჩემს ყველაზე დიდ სპორტულ მიღწევად, თუ გნებავთ, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ბედნიერებად. მოგეხსენებათ, რამდენს ბჭობენ დღეს ადამიანის გაუცხოებაზე, სულიერ ღირებულებათა დევალვაციაზე. ჩემი აზრით, ამ კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი უებრო საშუალება ადამიანის ბუნებასთან კავშირია. ბუნების წიაღში ადამიანი განიწმინდება, განიცდის ესთეტიკურ ტკბობას, კათარზისს, რაც ასე სჭირდება ყველა ჩვენგანს. „ჩვეულებრივ მოკვდავთ“ რა გვეთქმის, გენიოსებიც კი ბუნებაში ეძებდნენ შვებას — საიუბილეო ზეიმის ჟამს ბეთხოვენი ერთ დღეს სადღაც „დაკარგულა“. გამოირკვა, რომ ზეიმით დაღლილი ტყეში „გაპარულა“, ბუნებისთვის შეუფარებია თავი.

● კალათბურთი, ტურიზმი... თქვენი სპორტული ინტერესები, ალბათ, ამით არ ამოიწურება. სხვა რომელ სპორტულ ღონისძიებებს ეხწრებით?

— ყველას, რომელიც პროფესიონალიზმია და ეროვნულობის გრძნობით გამოირჩევა. ასეთი, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. ფეხბურთის თავდავიწყებული გულშემატკივარი ვარ, რამდენი წელია, თბილისის „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ გამიცდენია. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს თამაშის დროს მომხდარი საფეხბურთო საოცრებების ხილვა. ქართველ ფეხბურთელთა მიერ „ჩადენილი“ რამდენიმე ასეთი საოცრება მახსოვს! ამიტომაა, რომ ჩემთვის ფეხბურთი მარტო შედეგისთვის თამაში არ გახლავთ. ქართულ ფეხბურთში, უპირველეს ყოვლისა, ქართული სული, ქართველი კაცის ხასიათი მიზიდავს. შეიძლება არ დამეთანხმოთ ან გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ ჩემი აზრი ასეთია: თვით თბილისელი, შავიზღვისპირელი, ქუთაისელი და სხვა ჩვენი კუთხეების ფეხბურთელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თამაშის, ბურთის ფლობის მანერით, ქცევით. „კარლ ცაისთან“ გამარჯვების შემდეგ ყველანი იმიტომ გამოვედით ქუჩაში, რომ საქართველომ გაიმარჯვა, საქართველომ თქვა თავისი სიტყვა, საქართველო გამოჩნდა. ერთ ასეთ ამბავსაც გავიხსენებ: ომის შემდგომ წლებში ქუთაისის „ტორპედო“ თურქეთში მართავდა ტურნეს. ერთი თამაშის პირველი ტაიმის შემდეგ ქუთაისელთა მაშინდელმა მწვრთნელმა ლობჟანიძემ ბიჭებს გიორგი სააკაძის გმირობა გაახსენა. ჩვენებმა ის მატჩი მოიგეს, თამაშის დამთავრების შემდეგ კი აი, რა თქვეს: მოედანზე რომ დავბრუნდით, ჩვენი თავი სააკაძის რაზმის მეომრები ზვეგონა, მეტოქეები კი შაჰ-აბასის ჯარის მხედრებიო. სანამ ეროვნული გრძნობა არ ამაღლდება, მანამ ობივატელობით წალეკილ გონებას არა ეშველება რა. მე მგონი, ეს ფეხბურთსაც ეხება.

● თუ ამჩნევთ სხვაობას თქვენი ჭაბუკობისდროინდელ და დღევანდელ სპორტს შორის? ვგულისხმობ არა შედეგებს, არამედ ზნეობრივ მხარეს.

— თუ ასეა, მომიტევეთ და, დაურიდებლად გეტყვით: მაშინდელთან შედარებით იმდენად შეირყვნა დღევანდელი სპორტისა და შეჯიბრებების სისტემა, რომ საქმის გამოსწორება ძალიან ძნელი მგონია. ჩაწყობები, ლიმიტები, თამაშების ყიდვა-გაყიდვა, ეროვნულობის წაშლა და ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა ნაკლი. უნდა შეიქმნას ისეთი საზოგადოებრივი აზრი, ჩამოყალიბდეს ისეთი სოციალური კულტურა, რომ სპორტი ჩადგეს ადამიანის ჭეშმარიტად ჰარმონიული განვითარების, მისი თვითგანწმენდის სამსახურში. ამისათვის დროის შესაბამისი ახლებური აზროვნება და მუშაობაა საჭირო. ასეთად მესახება, მაგალითად, ის მუშაობა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესაქმნელად რომ მიმდინარეობს. ობივატელიზმის საშინელი სენით დასნეულებულ სპორტს ეროვნული სულის აღორძინების მეტი ვერაფერი უშველის — მე ასე მჯერა, ასე მწამს.

● ორიოდე სიტყვით, სპორტისა და რელიგიის ურთიერთობის შესახებ.

— შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, მაგრამ ეს თემა საკმაოდ ღრმა და საინტერესოა. ამ საკითხზე ადრე „ლელოში“ წერილიც გამოვაქვეყნე, ამ ბოლო დროს სპორტი „დაუმეგობრდა“ რელიგიას. საზღვარგარეთ არსებობს რელიგიური სპორტული ორგანიზაციები, შექმნილია მორწმუნე სტუდენტთა ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებს აწყობს. იზრდება მორწმუნე სპორტსმენთა რიცხვი სხვადასხვა პროფესიულ კლუბებში, რომლებიც საკმაოდ მაღალ სპორტულ შედეგებს აღწევენ. სპორტით /დაინტერესდნენ ცნობილი თეოლოგები, საეკლესიო პირნი, თვით რომის პაპი იოანე-პავლე მეორე. ვატიკანში რამდენიმე სპორტული გუნდია. ბოლო ხანს ქართული სპორტის პრობლემებით დაინტერესდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობაც, პირადად კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ჩემი აზრით, ეს ძალზე მისასალმებელი ფაქტია.

ესაუბრა მერი დიღმელაშვილი.

ლიდერობენ თბილისელები

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დარბაზში სტარტი აიღო საქართველოს 1989 წლის ჩემპიონატის ფინალურმა ასპარეზობამ ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში ჩაებნენ თბილისის, ბათუმის, გორის და სამტრედიის ნაკრები კოლექტივები, აგრეთვე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს გუნდი. ჩემპიონატი წრიული სისტემით ტარდება.

გაურკვეველი მიზეზის გამო ფინალურ ასპარეზობაზე არ ჩამოვიდა ცხინვალის გუნდი.

ჩემპიონატი გახსნეს თბილისის სახალხო განათლებისა და გორის ფრენბურთელებმა, გაიმარჯვეს თბილისელებმა 3:0 (15:10, 15:12, 15:9). შემდეგ მოედანზე თბილისისა და ბათუმის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება დედაქალაქის სპორტსმენებს ხვდათ წილად — 3:0 (15:6, 15:10, 15:8).

მეორე ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სახალხო განათლების სამმართველოსა და სამტრედიელ ფრენბურთელთა პაექრობამ. პირველ ორ პარტიაში დაწინაურდნენ თბილისელები — 15:10, 15:12, მესამე პარტია სამტრედიელებმა აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 15:12. ანგარიში გახდა 2:1. მეოთხე პარტიაში გაიმარჯვეს თბილისელებმა 15:9 და საერთო ანგარიშით 3:1 გამარჯვება მათ ხვდათ წილად.

ამრიგად, 2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისის ნაკრები და განათლების სამმართველოს გუნდი.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.



ინფორმაცია

● **ლონდონი.** აქ „უემბლის“ სტადიონის რინგზე პროფესიონალ მოკრივეებთან ორ შეხვედრას გამართავენ საბჭოთა სპორტსმენები, 25 წლის ვლადიმირელი ვიქტორ ეგოროვი და 26 წლის ანდრეი ორეშკინი ივანოვოდან. ეგოროვი იასპარეზებს პირველ საშუალო წონაში, ორეშკინი კი სუპერ-მძიმე წონაში. საბჭოთა მოკრივეებისთვის ეს იქნება მეორე გამოსვლა პროფესიულ რინგზე. პირველ ორთაბრძოლაში, რომელიც აგვისტოში გაიმართა, მათ ამერიკელი მოკრივეები დაამარცხეს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

თბილისი. 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 1:2 (1:2).

თბილისი — გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, ჩიქოვანი, ნემსაძე (დარასელია, 55), ჯოშკარიანი, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაშვილი.

მინსკი — სახუნკევიჩი, ლეხუნი, გომონოვი, შიროკი, დემიდოვი (ალიბგიროვი, 46), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, ხოკოლი (დომაშევიჩი, 76), გერასიმეცი, მეტლიცკი, ბარხელი.

მსაჯი ვ. პეტინი (დონეცკი).

გააფრთხილეს ცხადაძე, გომონოვი, დომაშევიჩი.

მასპინძლებმა ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრაც სუსტად წარმართეს და დამარცხდნენ — 1:2, თუმცა იმედი კი გვქონდა, რომ თბილისელი ფეხბურთელები ამ მატჩში ბაინც ყველაფერს გაიღებდნენ გამარჯვებისთვის. ცნობილია, რომ თბილისის „დინამო“ სათამაშო პიკს სეზონის ბოლოში აღწევს, შემოდგომით ჩვენი გუნდი ძლიერად თამაშობს და ჩვეულებრივ, ქულებსაც მაშინ იღებს, მაგრამ, როგორც თბილისის დინამოელთა მიერ საკავშირო ჩემპიონატებში დამკვიდრებული სხვა ტრადიციები, ეს უკანასკნელიც, ეტყობა დავიწყებას ეძლევა: შუა შემოდგომაა, სეზონი მთავრდება, ჩვენი გუნდის თამაშში კი ჯერჯერობით არავითარი სასიკეთო პროგრესი არ ჩანს.

1 ოქტომბერს მატჩი მასპინძლებისათვის არასახარბიელოდ დაიწყო: თამაშის მე-3 წუთზე, მინსკელ შიროკის თბილისელთა მცველებმა რატომღაც გაუთავისუფლეს კარისკენ მიმავალი „დერეფანი“, მასაც ისღა დარჩენოდა ახლო მანძილიდან გაეხსნა ანგარიში — 1:0.

მაგრამ წუთიც არ იყო გასული, რომ თბილისელებმა საპასუხო ბურთის ვატანა შეძლეს, მე-4 წუთზე ქეცბაიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი სასუნკევიჩმა უხეიროდ მოიგერია, მეკარის ხელიდან ასხლეტილი ბურთი მოხვდა ძელს, მიუგორდა კაჭარავას და მანაც ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ამის შემდეგ შეხვედრა ორმხრივი იერიშებით წარიმართა, მთელი დატვირთვა დაიწვათ მეკარეებს— სასუნკევიჩსა და გაბელიას (სხვათა შორის, ჩვენი კარის დარაჯმა ოთარ გაბელიამ ამ დღეს საიუბილეო მე-300 მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში), რადგან ამ მატჩში ორივე გუნდის მცველთა თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. ეს განსაკუთრებით მასპინძლებზე ითქმის.

მიმდინარეობდა თამაშის 28-ე წუთი, თბილისელთა საჯარიმო მოედნიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ბუთი ჩაუვარდა მეტლიცკის, ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია — 2:1.

პირველი ნახევრის დარჩენილ დროში თბილისელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ცხადაძის თავით დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია, შესვენებისთვის სტუმრები წინ იყვნენ — 2:1.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე თბილისელებს კვლავ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ კაჭარავას მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა მინსკელთა ერთ-ერთმა მცველმა, შემდეგ კი კარის აღების კარი შესაძლებლობა დაკარგეს ქეცბაიამ, გოგიჩაშვილმა.

ეს იყო და ეს, მერე მასპინძლების ეპიზოდურ შეტევებს მინსკელთა კარისთვის საფრთხე აღარ შეუქმნია, სამაგიეროდ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ სტუმრები, ისინი ბევრს მოძრაობდნენ მთელს მინდორზე, რითაც მასპინძლებს ხშირად აყდებდნენ რთულ სიტუაციებში. დარჩენილ დროში მინსკელებს აღარ გაჰირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა.

ზაზა კახაძე.

გოლ

27-ე ტურის სხვა მატჩები 1 ოქტომბერს ასე დამთავრდა: „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:4, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ კიევი) 3:3, „არარატი“ (ერევანი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1.

გუშინ ტურის ბოლო მატჩში მოსკოვის „ტორპედო“ დუშანბეს „პამირს“ შეხვდა. მატჩი დამთავრდა 4:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

ბათმაშუშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	15	10	2	45-16	40
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	27	16	5	6	40-23	37
„დინამო“ (კიევი)	27	12	11	4	37-22	35
„ყალგირისი“ (ვილნიუსი)	27	12	8	7	33-25	32
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	10	11	6	33-22	31
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	27	10	9	8	30-30	29
„დინამო“ (მინსკი)	26	9	11	6	29-22	29
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	9	9	8	32-32	27
„დინამო“ (მოსკოვი)	27	7	11	9	29-26	25
„არარატი“ (ერევანი)	27	8	8	11	24-33	24
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	26	7	9	10	24-30	23
„დინამო“ (თბილისი)	27	5	12	10	21-27	22
„შახტიორი“ (დონეცკი)	27	8	5	14	21-30	21
„პამირი“ (დუშანბე)	27	6	9	12	18-37	21
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	27	5	9	13	21-41	19
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	27	4	9	14	15-31	17

ბამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა საკავშირო „შეთამაშება ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ?!

თუ დავფიქრდებით, უამრავ მაგალითს გავიხსენებთ, ევროპისა და მსოფლიოს სპორტული ცხოვრებიდან, როცა ტენდენციურობას (დისკრიმინაციას) ზეგავლენა მოუხდენია სპორტულ შედეგებზე. იგივე ითქმის, ცხადია, ფეხბურთზე.

იქნებ მართლა რეალურად მოვუსინჯოთ კბილი „გარდაქმნის“ შესაფერ გარდაქმნას (ანუ გენერალურ რეფორმას) საბჭოთა სპორტშიც (და არა მარტო ფეხბურთში და არა მხოლოდ ჩემპიონატებში).

იქნებ დროა მოვითხოვოთ, რომ:

1. დაიგეგმოს უახლოესი წლებისთვის ქვეყნის ჩრდილო და აღმოსავლეთ ზონებში 20-25 დიდი დახურული სტადიონის მშენებლობა ბალახის საფარიანი საფეხბურთო მინდვრებითურთ, ვინაიდან, სხვანაირად, არამც თუ ძალაში დარჩება ტენდენციურობათა და დისკრიმინაციათა „ტრადიციები“, საერთოდ გაიყინება საბჭოთა სპორტის განვითარება და... მასობრიობაც (აქ მარტო ფეხბურთის ჰოკეის ნაირსახეობად გადაქცევაში არაა საიდუმლობა).

2. ამ სტადიონების აშენებამდე — აუცილებელია სპორტულმა ცენტრმა სტარტი და ფინალი მთლიანად გადაიტანოს სამხრეთის სტადიონებზე. მატჩების შემოსავლიდან როგორც მასპინძლის, ისე სტუმრისათვის დამაკმაყოფილებელი დანარიცხების გათვალისწინებით! არც ისე მრავალრიცხოვანი დახურული სტადიონები კი გამონთავისუფლდება ასეთი ნაგებობებისთვის უფრო შესაფერისი შეჯიბრებებისათვის. ეს ინიციატივა არაა ახალი, მაგრამ თუ ეს საკითხები დაისმება ქვეყნის დეპუტატთა ყრილობაზე, ეს უკვე სიახლე იქნება და, ვინ იცის, „სასარგებლოც“!

3. მრავალფეროვანი კლიმატური ზონების და არანაკლებ საამაყო ეთნიკური მრავალფეროვნების (ანუ ტემპერამენტისა და ფიზიოლოგიური სხვადასხვაობის) გათვალისწინებით კატეგორიულად დაწესდეს ზედა და ქვედა ტემპერატურული ზღვრები ღია სტადიონებზე გამოსვლებისათვის მთელი კავშირის მასშტაბით (ვთქვათ — 11°-დან 30°-მდე) ცხადია, გარდა ბურთიანი ჰოკეისა, ჰოკეისა, სპიდვეისა! თუ სხვა სპეციფიკურად ჩრდილოეთის ზამთრის თამაშებისა.

4. გადაუდებლად უნდა მოინახოს ფორმა საბჭოთა კავშირის ეროვნებათა (რესპუბლიკათა) საფეხბურთო ჩემპიონატის რეგულარულად ჩატარებისათვის. ეს უნდა მოხდეს მსოფლიო ჩემპიონატების შემდეგ ან — წინ, თუ გაისად არა, 1991 წელს მაინც. ასეთი ჩემპიონატი ოთხ წელიწადში ერთხელ რიგ-რიგობით უნდა ჩატარდეს ყველა რესპუბლიკაში! ალბათ, უპრიანია მისი ჩატარება მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულით, რათა იმ წელს საჭირო არ შეიქმნას — საკლუბო ჩემპიონატის მოხსნის აუცილებლობა.

5. ვინაიდან დღის ყველასათვის გაუგებარია რატომაა ბლანტერის მარში აუცილებელი ატრიბუტი ყველა რესპუბლიკის ყველა საფეხბურთო ღონისძიებისათვის, — შეიცვალოს იგი რესპუბლიკის „გემოვნების“ მიხედვით... (აი, აქ კი, შეიძლება კარგი გვარიანად ვცდები, ვინაიდან, არაა გამორიცხული, რომ ბლანტერის ეს მშვენიერი მუსიკა „სავალდებულო საკავშირო უნიფორმა“ გახდა „ცენტრიდანული — რიკოშეტის“ იმ კანონით, რომლითაც დღემდე სულდგმულობს არა მარტო საბჭოთა ფეხბურთი).

ახლა, ჩემი მთავარი მოსაზრებაც თემაზე „საჭიროა თუ არა საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში“?!

საჭიროა! საჭიროა თუ იგი გარდაიქმნება საბჭოთა კავშირის ეროვნებათა და რესპუბლიკათა, სპორტული და ეროვნული პრესტიჟის და ინტერესების შესაბამისად! მაგრამ თუ იგი არ მოისურვებს ძირეულ გარდაქმნას, კვლავ ჯიუტად ჩაებღაუჭება დრომოჭმულ სავარძელს და არ მოიშლის ქედმაღლობას, მაშინ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობას (არა მარტო საფეხბურთოს!) — ყოველგვარი იურიდიული და მორალური უფლება ექნება....

სხვანაირად, სხვა იურიდიული მეთოდებით თუ ანტიმეთოდებით, საკითხის დაყენება — ეროვნული სპორტის, ერძოდ, ფეხბურთის სუვერენიტეტისა, ჩაითვლება ჩვენს უნიათობად, რაც, ცხადია, უსამართლობა იქნებოდა.

ლერი სიხარულიძე,

ავტორის თხოვნით მონორარი დემოგრაფიულ ფონდში გადაირიცხება.

ეს დღევანდელი ცხოვრებითაა ნაკარნახევი

გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ახლა აზრთა ნამდვილი პლურალიზმია. ფეხბურთის ბევრი მოყვარული დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთი ზერელე დილეტანტური მსჯელობით ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი თავისი პოზიციის სისწორეში და საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის მომხრეებს ვაიპატრიოტებადაც კი ნათლავს.

ფეხბურთში ოდნავ ჩახედულმა პიროვნებამ კარგად იცის, რომ თბილისის „დინამო“ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, როგორც იტყვიან, „ნემსის ყუნწში“ უნდა გაძვრეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ან თასი მოიპოვოს, ან საპრიზო ადგილზე გავიდეს და ამ შემთხვევაშიც იგი მაინც ერთადერთი იქნება საქართველოდან. მაშინ, როდესაც ევროპის რიგი ქვეყნები (ალბანეთი, მალტა, ისლანდია, ლუქსემბურგი, კიპროსი), აშკარად სუსტი საფეხბურთო რეგიონები 3-3 გუნდით არიან წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული ქვეყნების საკლუბო გუნდებს არა მარტო დღევანდელი თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“, ქუთაისის „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“ გაუმკლავდება, წარმოიდგინეთ ჩოხუმის „დინამო“ და სამტრედიის „ლოკომოტივიც“ არ დაუდებს არაფერში ტოლს. რაც შეეხება იმ აზრს, თუ როგორ ტარდება ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატები, ზოგიერთს რატომღაც ავიწყდება, რომ დღევანდელ საქართველოს ჩემპიონატსა და საქართველოს იმ ნამდვილ ჩემპიონატს შორის, სადაც ყველა უძლიერესი გუნდი ერთად იქნება თავმოყრილი — განსხვავება იმდენად დიდი იქნება, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ბოლოს და ბოლოს რას ვიღებთ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისგან?

ქართულ ფეხბურთს საერთო კლასის ამაღლებაში ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ მოწესრიგდება ჩემპიონატის კალენდარიც. წყალში იყრება კოლოსალური შრომა. ამას გარდა, საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი ისე იქნება დაგეგმილი, რომ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს ან ფედერაციას საშუალება ექნებათ წლის სასურველ დროს შეარჩიონ და მოიპატიჟონ მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები, გამართონ ბლიც-ტურნირები. ერთი სიტყვით, ქართული ფეხბურთის წინსვლისა და შემდგომი აღმავლობისათვის სხვა გზა და გამოსავალი არ არსებობს, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლის ჩატარების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ მოიტანა. რაც შეეხება თვით საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატს, იგი ამ ნახევარი საუკუნის წინათ იქნა შემუშავებული და მიღებული ე. წ. „აყაზარმული სოციალიზმის“ იდეების შესაბამისად.

დემურ ტორაძე.



საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სიონი“ (ბოლნისი) 4:4, „მზიური“ (გალი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:2, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (გაგრა) 3:0, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:3, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 3:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, „ივერია“ (ხაშური) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კარგა ხანს გამოაკლდა

ამასწინანდელ შესარჩევ მატჩში სტოკჰოლმში შვეიცის ნაკრებთან მძიმე ტრავმა მიიღო ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ტერი ბუჩერმა. იგი, როგორც ფიქრობენ, კარგა ხანს მოუნდება მკურნალობას.

ალტობელი კვლავ თამაშობს

გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი ალესანდრო ალტობელი 34 წლისაა, მაგრამ სულაც არ აპირებს დაანებოს თავი ფეხბურთს. მართალია, პირველ ლიგაში თამაში მისთვის უკვე მეტად ძნელია. ამიტომ ალტობელიმ კონტრაქტს მოაწერა ხელი მეორე ლიგის კლუბ „ბრეშიასთან“.

მსაჯს თავს დაესხნენ

სტოკჰოლმის სასამართლომ ერთი საკმაოდ უჩვეულო საქმე განიხილა. საქმე ის არის, რომ როცა ამ ქალაქში საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი გაიმართა ცნობილ ბრაზილიურ კლუბ „ბოტაფოგოს“ მონაწილეობით, ერთ-ერთ მატჩში ამ გუნდის ხელმძღვანელები მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილონი დარჩნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მას. ერთ ბრაზილიელს ერთი თვით პატიმრობა მიესაჯა, მეორეს კი — ორი კვირით.

მეოთხე მსაჯი!

ამ სეზონიდან მოყოლებული, იტალიურ ფეხბურთში ერთი უჩვეულო ფიგურა გამოჩნდა — მეოთხე მსაჯი. მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს მწვრთნელებისა და სათადარიგო მოთამაშეების საქციელს, აგრეთვე აგრესიულად განწყობილ მაყურებლებს.

ვიჩინის პროგნოზი

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი აზელიო ვიჩინი ჟურნალისტებთან საუბარში შეეხო იტალიის 1989-90 წლების ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შესაძლებლობებს:

— „მილანი“, „ინტერი“ და „ნაპოლი“ დანარჩენებს აღემატებიან, მაგრამ ამ ტრიოს შეიძლება კონკურენცია გაუწიოს „იუვენტუსმა“, რომელსაც ისეთი ოსტატი ჰყავს, როგორიც ზავაროვია.

საიდან საიდან

პოლონეთის „ვიძეკის“ ფეხბურთელებმა ივანიცკიმ და სვიატეკმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს სამხრეთკორეულ კლუბ „კონგთან“ (სეული). ეს პირველი შემთხვევაა, როცა ევროპელი მოთამაშეები საჩრდილოეთკორეულ ლიგაში იწყებენ ასპარეზობას.

ხელოვნური საფარი? —

არავითარ შემთხვევაში!

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით 1991-92 წლების სეზონიდან კატეგორიულად იკრძალება თამაში ხელოვნურსაფარიან მინდვრებზე. ეს ეხება პირველი და მეორე ლიგების გუნდებს. ასეთი ხელოვნური საფარი ახლა აქვთ „ლუტონ თაუნს“ (პირველი ლიგა), „ოლდჰემს“ (მეორე ლიგა) და „პრესტონ ნორს ენდს“ (მესამე ლიგა).

მთავარი ფავორიტი — ბრაზილია

როგორც იტალიის ნაკრების მწვრთნელი აზელიო ვიჩინი თვლის, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია. ვიჩინი ამბობს, რომ ძალზე სასურველია ჩემპიონატის მსვლელობის დროს ბრაზილიელები როგორმე მის გუნდს არ შეხვდნენ, განსაკუთრებით კი ფინალურ მატჩში.

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში • I ლიგა

დარჩებიან ლიგაში?

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში მიმდინარე წყალბურთელთა საკავშირო პირველობის დასკვნითი V ტურის შეხვედრებში მონაწილე რვა გუნდი ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ტურის დაწყებამდე თბილისის უნივერსიტეტელთა უფროსმა მწვრთნელმა და სხვა სპეციალისტებმაც თქვეს, რომ ჩვენი გადაბალისებული გუნდის შესაძლებლობებს ყაზანის „სინთეზთან“ პირველივე შეხვედრა გამოავლენსო. მასპინძლები „სინთეზს“ უნივერსიტეტელთათვის ერთგვარ „საჯილდაო ქვად“ შემთხვევით არ მიიჩნევდნენ. ყაზანელებს აქ ჩამოსულთაგან, კაუნასის „ბანგასთან“ ერთად, ყველაზე კარგი სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ. ისინი 13-13 ქულით ლიდერობდნენ.

თბილისელებმა „სინთეზთან“ შეხვედრაში გაიმარჯვეს 11:9, კვირას, ტურის მეორე დღეს კი დუშანბეს ასკ-სთან დამარცხდნენ 6:8, არადა, ამ გუნდს მასპინძლები ტურის დაწყებამდე მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებოდნენ.

ერთი სიტყვით, „სინთეზთან“ გამარჯვებამ თუ იმედის ნაპერწკალი გაგვიღვივა, ასკ-სთან მარცხმა ცივი წყალი გადაგვასხა.

თბილისელებმა მეორე შეხვედრაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს. რამდენიმე ჩვენი წყალბურთელის უმრავამა შეცდომამ მძიმე შათბეჭდილება დატოვა. ლიგაში დარჩენის თბილისელთა შანსებიც კვლავ ბურუსშია.

ტურის სხვა მატჩები ისე დამთავრდა, რომ სტატუსკვო ფაქტობრივად არ დარღვეულა. ოღონდ ეგაა, მასპინძლები, რომლებიც 8 ქულით ბოლოსწინა ადგილზე იყვნენ, ახლაც იმავე პოზიციას ინარჩუნებენ, მაგრამ ქულების რაოდენობით ალმა-ათის „მედეოს“ გაუთანაბრდნენ.

ახლა გაგაცნობთ პირველი დღის დანარჩენი შეხვედრების ანგარიშებს: „ბანგა“ (კაუნასი) — „ულდუზი“ (ბაქო) 11:9, „მედეო“ (ალმა-ათა) — ასკ (დუშანბე) 8:7, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლა (კიშინიოვი) — „აზოვი“ (მარიუპოლი) 9:5.

მეორე დღის მატჩები ასე დასრულდა: „სინთეზი“ — „ბანგა“ 9:7, „მედეო“ — უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლა 5:5, „ულდუზი“ — „აზოვი“ 5:10.

ახლა 15-15 ქულით ლიდერობენ „ბანგა“ და „სინთეზი“. მომდევნო ადგილებზე არიან: უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლა —14 ქულა, „აზოვი“ — 12, ასკ — 11, „მედეო“, „უნივერსიტეტი“ — 10-10, „ულდუზი“ — 2.

და ბოლოს, გაგაცნობთ იმ წყალბურთელებს, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ტუკვაძე, კოლუაშვილი, ფანჩულიძე, გოგიშვილი, პატარიძე, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი, კელაურაძე, ქართველიშვილი, წულაძე, ოდიშვილი.

იმედია, ისინი მომდევნო თამაშებს უკეთ ჩაატარებენ და ყველაფერს იღონებენ ლიგაში დასარჩენად.

ავთანდილ ჭუკიშელი.



სარბიელზე არიან თბილისის უნივერსიტეტისა და დუშანბეს ასკ-ის წყალბურთელები.

ავტორის ფოტო.

ხელოვანი— მთამსვლელს

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ისეთი ვაჟკაცური სახეობა, როგორიც მთამსვლელობაა. ალპინიზმს არაერთი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები მიუძღვნეს ქართველმა მხატვრებმა, ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა.

ამ თემას მიუსადაგა თავისი ნამუშევარი სსრ კავშირის მხატვარმა კავშირის წევრმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის აღზრდილმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის აპოლონ ქუთათელაძის კურსდამთავრებულმა შალვა მამისაშვილმა. მან ფერთა ოსტატური ორკესტრაციით დაწერა სურათი „მთამსვლელი“. ხელოვანს მოხდენილად შეურჩევია კომპოზიცია, სადაც აღწერა სპორტსმენის გამბედაობა, ვაჟკაცობა... სურათი დამაჯერებლად და ხატოვნად გვაჩვენებს მთის რთულ რელიეფს, გვიქმნის მთამსვლელის სახიფათო ცხოვრების ცოცხალ ასოციაციას.

სიმონ ნაციაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
შ. მამისაშვილის „მთამსვლელი“.

„ურჩი“ მენსელი

24 სექტემბერს, „ეშტორილის“ ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მე-13 ეტაპი „ფორმულა1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გთამაშდა პორტუგალიის „გრან პრი“.

ტრასის სიგრძე 4,350 კმ-ია. მრბოლებმა აქ 70 წრე უნდა გაიაროონ, ე. ი. დაფარონ 304,50 კმ სიგრძის მანძილი. რეკორდი ეკუთვნის გერჰარდ ბერგერს (1 წუთი და 21,961 წამი, საშუალო სიჩქარე — 191,066 კმ სთ).

საკვალიფიკაციო რბოლები, როგორც ყოველთვის, აირტონ სენას გამარჯვებით დამთავრდა. ეს ბრაზილიელი პილოტის 39-ე საუკეთესო შედეგია. სტარტზე მეორე პოზიცია ეკავა გერჰარდ ბერგერს, ალენ პროსტი კი მეოთხე იყო.

სტარტი; ყველასათვის მოულოდნელად, მოიგო გერჰარდ ბერგერმა და წინ გაიჭრა. ავსტრიელი პილოტი დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ დაწინაურდა ნაიჯელ მენსელი. დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ იგი დიდი სიჩქარით შეიჭრა ბოქსში საბურავების გამოსაცვლელად და გასცდა სარემონტო ადგილს. სახიფათო მანევრი, რომლის შედეგადაც კინალამ დაშავდნენ „მაკლარენის“ მექანიკოსები, ნაიჯელ მენსელს ძვირად დაუჯდა. მთავარმა არბიტრმა იგი შეჯიბრებიდან მოხსნა. შავი დროშის ჩვენების შემდეგ მენსელს ტრასა უნდა მიეტოვებინა, მაგრამ, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, ინგლისელი პილოტი კვლავ განაგრძობდა რბოლას. ჩეხარე ფიორიომ გადამცემით უბრძანა მენსელს გაჩერებულიყო, მაგრამ უშედეგოდ. ნაიჯელ მენსელი კვლავ დიდი სიჩქარით დააქროლებდა „ფერარის“ და ყურადღებას არაფერს აქცევდა. გარდა ამისა, ერთ-ერთი მოსახვევის გავლისას, იგი შეეჯახა აირტონ სენას და მსოფლიო ჩემპიონი რბოლას გამოეთიშა. საბოლოოდ, ნაიჯელ მენსელი და „ფერარი“ დაჯარიმეს 50000 დოლარით და ინგლისელი პილოტი გამოტოვებს ესპანეთის „გრან პრის“ გათამაშებას.

გერჰარდ ბერგერმა კი პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და 70 წრე გაიარა 1 საათში 36 წუთსა და 48,456 წამში. წელს ავსტრიელმა პილოტმა პირველად მოიპოვა გამარჯვება, საერთოდ კი ეს ბერგერის მე-5 „გრან პრია“. ამით მან „ფერარის“ კიდევ ერთი, 97-ე, გამარჯვება შესძინა. გარდა ამისა, გერჰარდ ბერგერმა თავისივე რეკორდი გააუმჯობესა „ეშტორილზე“ (1 წუთი და 18,986 წამი, საშუალო სიჩქარე — 197,523 კმ. სთ.).

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, („ფერარი“) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა“)— 6; 3. სტეფან იოჰანსონი (შვეცია, „ონიქს-ფორდი“) — 4; 4. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 3; 5. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფორდი“) — 2; 6. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ-ფორდი“)— 1.

პირადი ჩათვლა:

1. ალენ პროსტი — 75; 2. აირტონ სენა (ბრაზილია, ორივე — „მაკლარენ-ჰონდა“) — 51; 3. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 38; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია) — 28; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია) — 24 (ორივე „უილიამსრენო“); 6. ალესანდრო ნანინი — 17; 7. გერჰარდ ბერგერი — 15; 8. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ლოტუს-ჯადი“) — 9; 9-12. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ლოლა-ლამბორგინი“), ედი ჩივერი (აშშ), დერეკ უორვიკი (ინგლისი, ორივე „ეროუზ-ფორდი“), სტეფან იოჰანსონი — 6-6 ქულა; 13-14. ჯონი ჰერბერტი (ინგლისი, „ბენეტონ-ფორდი“), ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 5-5; 15-19. მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ-ჰაუს-ჯადი“). სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრაბემ-ჯადი“), ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია), ალექს კაფი (იტალია, ორივე „დალარა-ფორდი“), პიერ-ლუიჯი მარტინი — 4-4; 20. კრისტიან დანერი (გფრ, „რიალ-ფორდი“) — 3; 21-23. რენე არნუ (საფრანგეთი, „ლიჟიე-ფორდი“), მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ბრაბემ-ჯადი“), ჯონათან პალმერი — 2-2; 24-26. გაბრიელე ტარკინი (იტალია, „აჟეეს-ფორდი“), ოლივიე გრუიარი (საფრანგეთი, „ლიჟიე-ფორდი“); ლუის პერეს სალა (ესპანეთი, „მინარდი-ფორდი“) — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი“ — 128; 2. „ფერარი“ — 53; 3. „უილიამსი“ — 52; 4. „ბენეტონი“ — 22; 5. „ტაირელი“ — 13; 6. „ეროუზი“ — 12; 7. „ლოტუსი“ — 9; 8. „დალარა“ — 8; 9-10. „ბრაბემი“, „ონიქსი“ — 6-6; 11. „მინარდი“ — 5; 12. „ლეიტონ-ჰაუსი“ —4; 13-14. „რიალი“, „ლიჟიე“ — 3-3 ქულა; 15. „ა-ჟე-ესი“ — 1 ქულა.

როგორც ჩანს, კონსტრუქტორთა პირველობა კვლავ „მაკლარენს“ დარჩება. ალენ პროსტმა პრაქტიკულად მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მაგრამ დარჩენილ სამ ეტაპში აირტონ სენასგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მომდევნო, მე-14 ეტაპი გაიმართება 1 ოქტომბერს, ესპანეთში, „ხერეს-დე-ლა-ფრონტერას“ ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე.



ფრიალოსანი ბიზნესი

ჭიდაობა ბერძნულად

მოსკოვი. მოკრივეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ, რომლებმაც ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წინა მსოფლიო ჩემპიონატების უცვლელ ფავორიტებს — კუბელებს ამჯერად ოთხი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ. მესამე შედეგი გდრ-ის წარმომადგენლებს აღმოაჩნდათ — ერთი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ჯილდო.

მსოფლიო ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ერიკ გრიფინი (აშშ), იური არბაჩაკოვი (სსრ კავშირი), ენრიკე კარიონი (კუბა), აირატ ხამატოვი (სსრ კავშირი), ხულიო გონსალესი (კუბა), იგორ რუტნიკოვი (სსრ კავშირი), ფრანცისკ ვასტაგი (რუმინეთი), ისრაელ აკოფკოხინი, ანდრეი კურნიავკა (ორივე — სსრ კავშირი), ჰენრი მასკე (გდრ), ფეილიქს სავონი, რობერტო ბალადო (ორივე — კუბა).

სუპერჩემპიონი ბარსელონაში

ასე შეიძლება ვუწოდოთ ბარსელონაში გამართულ ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდნენ სპლიტის „იუგოპლასტიკა“, თელ-ავივის „მაკაბი“. სალონიკის „არისი“ და მასპინძელთა გუნდი „ბარსელონა“, აღსანიშნავია, რომ შარშან სწორედ ამ ოთხმა გუნდმა გაითამაშა დასავლეთ ევროპაში ჩემპიონობა ითამაშა. ამიტომ ტურნირისადმი ინტერესი სავსებით კანონზომიერი იყო.

პირველ ტურში „მაკაბმა“ ჯერ და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „იუგოპლასტიკა“ — 88:85 (43:53). „ბარსელონასთან“ შეხვედრაში სალონიკის „არისს“ ვერ უშველა ნიკოს გალისის (35 ქულა) და პანაიოტის იანაკისის (27) შედეგიანმა თამაშმა, როგორც ზაგრების „სპორტსკი ნოვოსტი“ აღნიშნავს, კოლექტიურ თამაშში მასპინძლებმა დაჯაბნეს მეტოქე და ლამაზი გამარჯვება მოიპოვეს — 107:88 (49:40).

მესამე ადგილისათვის მატჩში „იუგოპლასტიკამ“ სძლია „არისს“ — 86:74 (46:30).

იუგოსლაველთა გამარჯვება უკვე პირველი ტაიმის შემდეგ ეჭვს აღარ იწვევდა. მატჩის გმირად მიიჩნევენ ტონი კუკოჩს (29 ქულა), რომელმაც, მიმომხილველთა აზრით, წარმატებით გაართვა თავი „არისს“ ლიდერის ნიკოს გალისის (22) ნეიტრალიზებას. იუგოსლავიელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო დუმან ივანოვიჩი (26 ქულა).

პრესტიჟულ ტურნირში პირველი ადგილი მასპინძლებმა დაიკავეს. მათ ფინალურ მატჩში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს „მაკაბი“ — 84:81 (38:43).

მერაბ კალანდაძე.

„სპორტლოტო“

1 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის მორიგი, მე-40 ტირაჟები.

„ხპორტლოტო 6 45“-დან: 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 31 (ფარიკაობა), 38 (ალპინიზმი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

„ხპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (სატრეკო ველოსიპედი), 11 (ფრენბურთი), 17 (საცეგურაო სპორტი).

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 39-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 24 სექტემბერს გაიმართა.

„ხპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.388.616 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (52) მოგება 801 მანეთია, ოთხისთვის (2.454) — 25, სამისთვის (37.967) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 37.531 ვარიანტი. 6-0, 5-1, 4-68, 3-1006.

„ხპორტლოტო 5 36“ -დან: ტირაჟში დაშვებულია 14.522.900 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (91) მოგება 4.825 მანეთია, ოთხისთვის (8.626) — 81, სამისთვის (208.126) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 458.803 ვარიანტი. 5-1 (თბილისი), 4-228, 3-6477.

39-ე ტირაჟისა და 30-39 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 14 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 39-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 22-24 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.188.997 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 9.567 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (179) — 534 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (2.219) — 150 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 180.738 ვარიანტი. 13-1 (თბილისი), 12-30, 11-309.

39-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 14 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით.

• • •

ევროპის თასების ტურნირების საპასუხო მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები

(27 სექტემბერი)

1-1, 2-1, 3-X, 4-X, 5-1, 6-2, 7-1, 8-X, 9-1, 10-1, 11-2, 12-1, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 10519